საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გუგულის სელი

გუგულის სელი, (Polytrichum commune Hedw.), ღეროფოთლოვანი ხავსების კლასის ორსახლიანი მცენარე. აქვს კარგად განვითარებული და უხვად შეფოთლილი რიზოიდებიანი ღერო. ფართოდ გავრცელებული სახეობაა, ქმნის მასიურ კორდებს და ხელს უწყობს ნიადაგის დაჭაობებას. საქართველოში გვხვდება თითქმის ყველა რეგიონში, დაბლობიდან ალპური სარტყლის ჩათვლით, ტენიან ტყეებსა და მდელოებზე, ტორფიან და ისლიან ჭაობებზე.

ქ. ტიგიშვილი

გუგულის სელი